ხაშურის მოამბე

№21 (303) 12 ივლისი, ორშაბათი, 2021 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

6 ივლისს, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა. სესიაზე, დღის წესრიგის პირველი საკითხი ეხებოდა ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, განსახორციელებელი სოციალურ-ეკონომიკური პროექტების ნუსხის დამტკიცების და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის განკარგულებას, რომელშიც აუცილებლობიდან გამომდინარე, მოხდა კორექტირება და შევიდა ცვლილებები.

ამის შემდეგ,საკრებულოს წევრებმა,სურამში,დიმიტროვის ქუჩაზე,შპს „ოუკლენდის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთზე, დასასვენებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია დაამტკიცეს.

სხდომაზე, თანხმობა მიეცა მუნიციპალიტეტის მერიას, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძარვი ქონება - ტურისტული საინფორმაციო ცენტრის შენობა - პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, გადაეცეს ა(ა)იპ „ხაშურის სამუზეუმო გაერთიანებას“.

ასევე თანხმობა მიეცა მერიას, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განათების ბოძები, ინტერნეტ ქსელის მოწყობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, გადაეცეს შპს „მაგთიკომს“.

სხდომის ბოლოს, საკრებულოს წევრებმა მოისმინეს მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორის - დავით ჩიქოვანის ანგარიში, აღნიშნული ცენტრის მიერ, 2021 წლის პირველ ნახევარში გაწეული საქმიანობის შესახებ. ანგარიშში ფართო ადგილი დაეთმო კორონავირუსის საწინააღმდეგო პრევენციული მიზნით გაწეულ საქმიანობასაც, რომელიც საკრებულოს წევრებმა დადებითად შეაფასეს.

დუმაცხოვსა და ქინძათში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა დასრულდა

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით გზების მოსაწყობად, ჯამში, 1,5 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. სამუშაოების ფარგლებში დაიგო ასფალტის საფარი და განთავსდა საგზაო ნიშნები.

დასრულებულ სამუშაოებს შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე სიმონ გულედანი და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ზვიად ქურდაძე გაეცნენ. სიმონ გულედანის თქმით, პროექტის ფარგლებში 5 კილომეტრამდე გზა დაიგო. აღსანიშნავია ისიც, რომ დუმაცხოვოსა და ქინძათში საგზაო ინფრასტრუქტურა პირველად მოეწყო. „წელს პირველად განხორციელდა დუმაცხოვსა და ქინძათში მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, აქამდე საგზაო ინფრასტრუქტურა ფიზიკურად არ არსებობდა, უამინდობის დროს კი ადგილობრივებს გადაადგილების პრობლემებს უქმნიდა. ამიერიდან კი მოსახლეობა კომფორტულად გადაადგილებას შეძლებს.“- აღნიშნა სიმონ გულედანმა.

ნაბახტევში, სავანისუბანსა და რუსაანთუბანში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა მიმდინარეობს

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში - ნაბახტევში, სავანისუბანსა და რუსაანთუბანში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა მიმდინარეობს. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება. ნაბახტევის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტი გარდამავალია და მისი დასრულება მომავალ წელს იგეგმება. ჯამში, 3 კილომეტრზე მეტი გზის საფარი მოეწყობა, რაზეც 2 მილიონამდე ლარი დაიხარჯება. სავანისუბნისა და რუსაანთუბნის გზების რეაბილიტაცია კი მიმდინარე წელს დასრულდება. სავანისუბანში 1 640 გრძივი მეტრი, ხოლო რუსაანთუბანში 1 120 გრძივი მეტრი გზის საფარი დაიგება. ორივე პროექტზე, ჯამში, მილიონ ლარზე მეტია განსაზღვრული. როგორც შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ, სიმონ გულედანმა ობიექტების მონახულებისას აღნიშნა, ხაშურის მუნიციპალიტეტში წელს არაერთი მნიშვნელოვანი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა იგეგმება. „ხაშურის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში უკვე დავასრულეთ გზების მოწყობის სამუშაოები, მაგალითად ქინძათში, დუმაცხოვოში, ტაშისკარში, გრძელდება ნაბახტევის, სავანისუბნისა და რუსაანთუბნის გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ნაბახტევის გზის რეაბილიტაციის პროექტი გარდამავალია, პირველი ეტაპი აგვისტოში დასრულდება. რუსაანთუბანში კი, მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ბეტონის საფარი დაიგება. აღნიშნული პროექტების განხორციელება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ადგილობრივების საცხოვრებელ პირობებს.“ - აღნიშნა რწმუნებულის პირველმა მოადგილემ.

დანართი №1

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2021 წელი

№	ტერიტორიული ერთეული	დასახლების სახელწოდება	საპროექტო წინადადება	პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება, ლარი	ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	პროექტის სული ღირებულება	შენიშვნა
1	ა ლ ი	ალი	სანიაღვრე არხის მოწყობა	20 000,00	0,00	20 000,00	
2		ბრილი	სანიაღვრე არხების მოწყობა	12 000,00	12 000,00	24 000,00	
3		ახალუბანი	მინი სტადიონის მოწყობა	10 000,00	10 000,00	20 000,00	
4		დუმაცხოვი	საბავშვო ატრაქციონების მოწყობა	10 000,00	10 000,00	20 000,00	
5		ზემო ამვისი	საბავშვო ატრაქციონების მოწყობა	10 000,00	10 000,00	20 000,00	
6		კლდისწყარო	ხიდის მშენებლობის გაგრძელება	10 000,00		10 000,00	
7		ცხეთიჯვარი	სასამელი წყლის ჭის მოწყობა	10 000,00		10 000,00	
8		უწლევი	ბეტონის გზის საფარის მოწყობა	10 000,00	10 000,00	20 000,00	
9		ნაბახტევი	სასმელი წყლის სათავე ნაგებობების და მაგისტრალის მოწყობა	16 000,00	6 190,00	22 190,00	
10		ქინძათი	სასამელი წყლის ჭის მოწყობა	12 000,00		12 000,00	
ჯამი:				**120 000,00**	**58 190,00**	**178 190,00**	
11	**გომი**	გომი	გარე ტრენაჟორების მოწყობა	20 000,00		20 000,00	
12		ხიდის ყური	სპორტული დარბაზის კეთილმოწყობის სამუშაოები	10 000,00		10 000,00	
13		ვაყა	სკვერი მოწყობა	20 000,00	0,00	20 000,00	
14		ქვემო ამვისი	სანიაღვრე არხის მოწყობა	10 000,00		10 000,00	
15		დიდი სატივე	სპორტული დარბაზის კეთილმოწყობის სამუშაოები	12 000,00		12 000,00	
16		პატარა სატივე	გარე განათების მოწყობა	10 000,00	717,00	10 717,00	
17		აგარები	გარე განათების მოწყობა	10 000,00	4 272,00	14 272,00	
ჯამი:				**92 000,00**	**4 989,00**	**96 989,00**	
18	**ოსიაური**	ზემო ოსიაური	ქვემო უბნის სკვერის შემოღობვა და კეთილმოწყობა	20 000,00		20 000,00	
19		ქვემო ოსიაური	ბატონის ბაღში სავალი ბილიკების მოწყობა განათებით და დასაჯდომი სკამებით	16 000,00		16 000,00	
20		ახალსოფელი	სოფლის ახალ საკარმიდამო ნაკვეთებში სარწყავი წყლის მიყვანა პლასტმასის მილებით	10 000,00		10 000,00	
21		ნარუჯები	გზის რეაბილიტაცია მოხრეშვა	10 000,00		10 000,00	
22		ღუდა	გზის რეაბილიტაცია მოხრეშვა	10 000,00	10 000,00	20 000,00	
ჯამი:				**66 000,00**	**10 000,00**	**76 000,00**	
23	**დაბა სურამი**	დიდი ბეკამი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	10 000,00		10 000,00	
24		პატარა ბეკამი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	12 000,00		12 000,00	
25		ურთხვა	სოფლის შიდა გზების მოხრეშვა	10 000,00	2 520,00	12 520,00	
26		ზეკოტა	შიდა გზების მოხრეშვა	10 000,00	2 520,00	12 520,00	
27		ბიჯნისი	შიდა გზების მოხრეშვა	12 000,00	725,00	12 725,00	
28		დაბა სურამი	ტრენაჟორების მოწყობა	20 000,00	20 000,00	40 000,00	
ჯამი:				**74 000,00**	**25 765,00**	**99 765,00**	
29	**ფლევი**	დიდი ფლევი	მინისტადიონის კეთილმოწყობა	12 000,00		12 000,00	
30		პატარა ფლევი	შიდა გზების მოხრეშვა	10 000,00	3 866,00	13 866,00	
31		ნაცარგორა	შიდა გზების მოხრეშვა	12 000,00		12 000,00	
32		ტკოცა	შიდა გზების მოხრეშვა	16 000,00	14 900,00	30 900,00	
ჯამი:				**50 000,00**	**18 766,00**	**68 766,00**	
33	**ქვიშხეთი**	ქვიშხეთი	სანიაღვრე არხის მოწყობა	20 000,00		20 000,00	
34		ტაშისკარი	ტრენაჟორების მოწყობა	12 000,00	8 000,00	20 000,00	
35		მონასტერი	ღონღაძეების უბანში გზის დაბეტონება	10 000,00	10 000,00	20 000,00	
36		ბედლეთი	სავალი გზის დაბეტონება(გაგრძელება)	10 000,00	10 000,00	20 000,00	
37		ბულბულისციხე	სასაფლაომდე მისასვლელი გზის დაბეტონება	10 000,00		10 000,00	
38		სათივე	ტრენაჟორების მოწყობა	10 000,00	10 000,00	20 000,00	
39		სარმანიშვილისკარი	ატრაქციონების მოწყობა	10 000,00	10 000,00	20 000,00	
40		ტეზერი	მოსაცდელის მოწყობა	10 779,00	0,00	10 779,00	
			სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა	5 221,00		5 221,00	
41		ყიფიაანთუბანი	გზის რეაბილიტაცია (ზედა უბანი)	12 000,00	12 000,00	24 000,00	
42		სავანისუბანი	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია (ღონღაძეების უბანი)	6 500,00		6 500,00	
			გზისპირა მოსაცდელის მოწყობა (ღონღაძეების უბანი)	5 500,00	5 278,40	10 778,40	5278,4
43		რუსაანთუბანი	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	10 000,00	10 000,00	20 000,00	
ჯამი:				**132 000,00**	**75 278,40**	**207 278,40**	
44	**ცხრამუხა**	ცხრამუხა	გარე განათების მოწყობა	20 000,00		20 000,00	
45		თაგვეთი	სასმელი წყლის ბასეინის რეაბილიტაცია	10 000,00		10 000,00	
46		რბონა	გოგალაძეების უბანზე გზის (მისასვლელი) მოხრეშვა	10 000,00		10 000,00	
47		დამჩხეულა	მისასვლელი გზის მოხრეშვა (გუდაძეების და ლომიძეების მიმართულებით)	10 000,00		10 000,00	
48		ქაშვეთი	შიდა სასოფლო გზების მოხრეშვა	10 000,00		10 000,00	
49		ჯვართმუხა	სოფელში მისასვლელი გზის მოხრეშვა	10 000,00		10 000,00	
50		კოდისწყარო	არტეზიული ჭების მოწყობა	10 000,00		10 000,00	
ჯამი:				**80 000,00**	**0,00**	**80 000,00**	

51		ქემფერი	წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა	5 000,00	0,00	5 000,00	
			შიდა სასოფლო გზების მოხრეშვა	7 000,00	5 499,00	12 499,00	
52		ცოცხნარა	შიდა საუბნო გზების მოხრეშვა	12 000,00		12 000,00	
53	**ცოცხნარა**	წაბლოვანა	მინი სპორტული მოედნის მოწყობა	10 000,00	10 000,00	20 000,00	
54		ცედანი	მოსაცდელის მშენებლობა	10 000,00		10 000,00	
55		ოძისი	სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა და გამოყვანა	10 000,00		10 000,00	
56		ცივწყარო	შიდა სასოფლო გზების მოხრეშვა	10 000,00		10 000,00	
ჯამი:				**64 000,00**	**15 499,00**	**79 499,00**	
57		წაღვლი	შიდა გზის მოხრეშვა	16 000,00		16 000,00	
58		კლდისწყარო	შიდა გზების მოხრეშვა	10 000,00	75,00	10 075,00	
59		ქვემო ბროლოსანი	არსებული სასმელი წყაროს სათავე-ნაგებობის შეკეთება	10 000,00		10 000,00	
60	**წაღვლი**	ზემო ბროლოსანი	ატრაქციონების მოწყობა	10 000,00	10 000,00	20 000,00	
61		ჩორჩანა	სოფელთან მისასვლელი გზისთვის სანიაღვრე არხების მოწყობა	10 000,00		10 000,00	
62		წეღვერი	სოფელთან მისასვლელი გზის მოხრეშვა	10 000,00	10 000,00	20 000,00	
63		ტიტვინისწყარო	სოფლის ჩასასვლელი გზის მოხრეშვა	10 000,00		10 000,00	
ჯამი:				76 000,00	**20 075,00**	**96 075,00**	
65		წრომი	სოფლის შიდა გზების მოხრეშვა	12 000,00	12 000,00	24 000,00	
66		ახალშენი	სოფლის შიდა გზაზე ბეტონის გზის დაგება	10 000,00	10 000,00	20 000,00	
67		ნადარბაზევი	გზის რთულ მონაკვეთზე ბეტონის გზის დაგება,	10 000,00		10 000,00	
68	**წრომი**	იმერლიანთკარი	სოფლის შიდა გზების მოხრეშვა	10 000,00	4 620,00	14 620,00	
69		დიდი ყელეთი	გზის რთულ მონაკვეთზე ბეტონის გზის დაგება,	10 000,00	10 000,00	20 000,00	
70		პატარა ყელეთი	გზის რთულ მონაკვეთზე ბეტონის გზის დაგება,	10 000,00	10 000,00	20 000,00	
ჯამი:				**62 000,00**	**46 620,00**	**108 620,00**	
71		ხცისი	სასმელი წყლის დებეტის გაზრდა და სისტემის მოწესრიგება	16 000,00		16 000,00	
72	**ხცისი**	მიწობი	სასმელი წყლის ჭაბურღილის გაკეთება	12 000,00		12 000,00	
73		კრისხევი	სასმელი წყლის დამატებითი დებეტრის შექმნა, ქსელის მოწესრიგება	10 000,00		10 000,00	
ჯამი:				**38 000,00**	**0,00**	**38 000,00**	
74		დიდი ხალები	ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა	10 000,00		10 000,00	
75		პატარა ხალები	ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა	10 000,00		10 000,00	
76		ღართა	სოფელ ღართა-ხაშურის დამაკავშირებელი გზის დაზიანებული უბნების მოხრეშვა-მოშანდაკება	10 000,00		10 000,00	
77	**ხალები**	სარტყელა	გარე განათების მოწყობა	10 000,00		10 000,00	
78			სასმელი წყლის სისტემის მოწყობა			0,00	
79		ღვრიაწყალი	ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა	10 000,00		10 000,00	
ჯამი:				**50 000,00**	**0,00**	**50 000,00**	
სულ ჯამი:				**904 000,00**	**275 182,40**	**1 179 182,40**	

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ.# 1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20)

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

1916 წლის 8 ივლისს, ტრ. ჯაფარიძე, იმავე გაზეთის ფურცლებზე წერდა, რომ სადგურ მიხაილოვოს რკინიგზელთა ერთმა ჯგუფმა სამკითხველოს რუსული გაზეთი „დენ''-ი გამოუწერეს და მადლობას უხდიდა მათ „ასეთი კულტურული ნაბიჯისათვის''.

როგორც ირკვევა, ბიბლიოთეკების მდგომარეობა ყოველთვის სტაბილური არ იყო. ხშირად იცვლებოდა მათი მატერიალური მდგომარეობა, რაც მკითხველთა მომსახურეობის კულტურის დონეზეც ახდენდა გავლენას. რკინიგზის ბიბლიოთეკის შესახებ ჟურნალი „კვალი'' 1902 წელს წერდა: „დღეს ყველაზე უდიდეს ნაკლულევანებას წარმოადგენს წიგნთსაცავ-სამკითხველოს უქონლობა... თუმცა, სწორეთ უნდა ვთქვათ, აქ არსებობს რკინის გზის დეპოს სამკითხველო, მაგრამ მას კერძო დანიშნულება უფრო აქვს, ვინაიდან იგი თითო-ოროლა მაღალი ოჯახების საკუთრებასავით გამხდარა. ამასთან, შენობაც მეტად ვიწროა, რის გამოც დეპოს წვრილფეხა მოსამსახურეები შიგ ვერ მიდიან იმის შიშით, რომ ამდენ ვიწროობაში ჩვენი ჭუჭყიანი ტანისამოსით არავის წავებლანდოთ და ზიზღი არ დავიმსახუროთო. ამგვარად, „დეპოს სამკითხველოთი'' თვით დეპოს ხალხიც ვერ სარგებლობს და მაშასადამე დანარჩენი უმეტესი ხალხის ნაწილი ხომ მთლად მოკლებულია გონებრივ საზრდოს... აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ კითხვის სურვილი ბევრს აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სურვილსა და წყურვილს იკლავენ ისეთი ცუდი შინაარსის წიგნებით, როგორიც არიან: „ასოთ სამღერალო'', „მკითხაობა – ბედ-იღბალი'', „საეტლო'', „სიზმრის ახსნა'' და სხვა.

ხსენებული წიგნები აქაურ მდაბიო ხალხს სახელმძღვანელოებათ გაუხდია და, როგორც მოსალოდნელია, თანდათან ვრცელდება დამღუპველი ცრუ-მორწმუნეობა!..

ახლა, ვიკითხოთ: თუკი ხალხს ამდენი წაკითხვა შეძლებია, რომ ახპატელოვებისა და მათ გვარი მწერლების გაცნობა არ გაჭირვებია, რატომ არ შეიძლება ჩვენი საუკეთესო მწერლების გაცნობა?!''

მოგვიანებით, 1915 წელს, გაზეთი „საქართველო'' თითქმის იგივეს წერდა ხაშურის საზოგადო ბიბლიოთეკა-სამკითხველოზეც: „როდესაც ხაშურის საზოგადოებას თვალყურს ადევნებთ, ასე გგონიათ, თითქოს ეს ხალხი ამ ქვეყანას მოშორებიაო. მართალია, აქ არსებობს სხვადასხვა კულტურული დაწესებულებანი, მაგრამ მათ მამამთავრებს სადათას ძილისთვის მიუყვიათ ხელი. ავიღოთ სამკითხველო თუ რა მდგომარეობაშია იგი: რომ შეხვიდეთ ამ სამკითხველოში და მოითხოვოთ ჩვენი რომელიმე მწერლის წიგნი, ან ვერ იშოვით, ანდა დახეულ-დანგრეულს მოგაწოდებენ. აქ არ მოდის სრულად ჩვენი ჟურნალ-გაზეთები და რაც მოდის, ისიც არასისტემატიურად. სატახტო ქალაქის გაზეთებს ხომ ვერ დაინახავთ, გარდა ერთ გაზეთ „რუსსკოე სლოვო.''ს და ჟურნალ „ოგონიოკ''-ისა. სამკითხველოს ასეთმა სიღატაკემ და ჟურნალ-გაზეთების მხრივ სიმცირემ ის შედეგი მოიტანა, რომ მკითხველთა რიცხვი თანდათან კლებულობს. აქ ხშირად იმართებოდა წარმოდგენები სცენის მოყვარეთა სასარგებლოდ და ერთხელაც არ მოსვლიათ აქაურ სამკითხველოს გამგეობას ის აზრი, რომ გაემართათ წარმოდგენა სამკითხველოს სასარგებლოდ''.

მართალია, რევოლუციამდელი პრესა ზოგიერთ შემთხვევაში ასე კრიტიკულად წერდა აქაური ბიბლიოთეკა-სამკითხველოების მდგომარეობისა თუ მათი მუშაობის ზოგიერთი მხარის შესახებ, მაგრამ უნდა ავღნიშნოთ, რომ მათ მაინც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საგამომცემლო საქმიანობა

ხაშურის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მათი წვლილი განათლებისა და კულტურის განვითარების საქმეში თვალსაჩინოა. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, გორის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება „მანდილოსანისა'' და სხვა ადგილობრივი ორგანიზაციების საქმიანობა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა ხაშურში. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობას რევოლუციამდელ საქართველოში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობის დაბალ ფენებში პირველდაწყებითი განათლებისა და კულტურის შეტანის თვალსაზრისით. მისი მოღვაწეობა ფართო და მრავალმხრივი იყო, ხსნიდა სკოლებს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, ფასდაუდებელი წვლილი შეჰქონდა ქართული მწერლობის, მუსიკის, მხატვრობის, მეცნიერების, თეატრის განვითარებაში. ცალკე უნდა აღინიშნოს საზოგადოების ღვაწლი სამუზეუმო ექსპონანტების შეგროვებისა, აღრიცხვისა და დაცვის საქმეში. თავისი წესდების მე-3 მუხლის შესაბამისად, საზოგადოებას ნება ეძლეოდა, თავის სკოლებში სწავლება ქართულ ენაზე განეხორციელებინა, ეს მაშინ, როდესაც მთავრობის სკოლებში ქართული ენის დევნასა და შევიწროვებას ჰქონდა ადგილი.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ფართო კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებთან და დაბა-ქალაქებთან. გამონაკლისს არც ხაშური და მისი რაიონი წარმოადგენდა.

საზოგადოების ხაშურსა და მის რაიონში მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიიდან შეიძლება ორი ეტაპი გამოვყოთ: I. XIX საუკუნის 80-90-იანი წლები, როდესაც ხაშურისა და მისი რაიონის მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენს საზოგადოების საქმიანობის მიმართ, ეხმარება მას მატერიალურად, მორალურად, ხოლო საზოგადოების საქმიანობა რაიონში შედარებით სუსტია და II. XX საუკუნის დასაწყისიდან 1921 წლამდე – საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ამ ეტაპზე საზოგადოების ინტერესი ხაშურისა და მისი რაიონისადმი საკმაოდ ინტენსიურია, რაც გამოიხატება ხაშურში საზოგადოების განყოფილების შექმნით, ბიბლიოთეკის დაარსებით, სკოლებისადმი დახმარებებით და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარებით.

XIX საუკუნის 80-იან წლებში, რაიონში, წკგს-ის მოღვაწეობის ისტორიიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ქვიშხეთში, სურამსა და ვაყაში დაწყებითი სკოლების გახსნის საკითხი. ეს ის პერიოდია, როცა ხაშურის რაიონში არ არსებობს არცერთი უწყების რაიმე საგანმანათლებლო დაწესებულება. იმდროინდელი ქართული პერიოდული პრესა ყოველთვის დიდი გულისტკივილით მიანიშნებდა ამ ფაქტზე და არაერთხელ მიუმართავს საზოგადოების გამგეობისთვის ხაშურის რაიონში სკოლების გახსნის თაობაზე. სხვათაშორის, არც გამგეობის წევრები იჩენდნენ უყურადღებობას საკითხის მიმართ. 1881 წლის 29 ოქტომბერს, იაკობ გოგებაშვილმა გამგეობის წინაშე დააყენა საკითხი ქვიშხეთსა და სურამში სკოლების გახსნის შესახებ, რაც მეტად საინტერესო ფაქტად მიგვაჩნია ხაშურის რაიონისადმი დიდი პედაგოგის დამოკიდებულების შესწავლის თვალსაზრისით. იგი მოითხოვდა, რომ გამგეობას აღნიშნულ სოფლებში თავისი წარმომადგენლები გაეგზავნა სკოლების გახსნის თაობაზე განაჩენის შესადგენად, მაგრამ საკითხის განხილვა მომდევნო სხდომისთვის გადაიდო.

იმავე წლის 12 ნოემბერს, გამგეობამ კვლავ მოისმინა ი. გოგებაშვილის წინადადება ქვიშხეთსა და სურამში სკოლების გახსნის შესახებ. ამჯერად გამგეობამ კომისია შეადგინა ი. გოგებაშვილისა და ი. მაჩაბლის შემადგენლობით. კომისიას დაევალა, აღნიშნულ საკითხზე შეემუშავებინა წინადადებები და გამგეობისათვის წარედგინა განსახილველად.

საზოგადოების გამგეობის ანგარიშიდან, რომელიც მოიცავს პერიოდს 1881 წლის 1 სექტემბრიდან 1 დეკემბრამდე, ირკვევა რომ ი. გოგებაშვილის წინადადებაზე გამგეობას შემდეგი მიუღია გადაწყვეტილება: „რადგან ქართლი ბევრით უფრო ღარიბია სასოფლო სკოლებით, ეცადოს იგი სკოლების გახსნას შემდეგს დიდს სოფლებში... სურამში და ქვიშხეთში''.

70-80-იან წლებში დ. ყიფიანის მიერ არაერთხელ გამოითქვა სურვილი ქვიშხეთში სკოლის გახსნის შესახებ. იგი მზად იყო, სკოლისათვის უფასოდ დაეთმო მიწის ნაკვეთი და სხვა სახის დახმარებაც აღმოეჩინა, მაგრამ რატომღაც სკოლის გახსნა ვერ მოხერხდა. 1884 წლის 16 ოქტომბრით დათარიღებული წერილით დ. ყიფიანის ქალიშვილი ელენე ყიფიანი თხოვნით მიმართავს საზოგადოების გამგეობის მდივანს გრიგოლ ყიფშიძეს, რომ საზოგადოებას აეღო ხელში სკოლის გახსნის საქმე ქვიშხეთში.

როგორც წერილიდან ირკვევა, ქვიშხეთის საზოგადოება თავისი განაჩენით მომავალი სკოლის მასწავლებლისთვის წელიწადში იძლეოდა 300 მანეთს. სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობა კი 400 მანეთის გაღებას ითხოვდა, რისი საშუალებაც გლეხობას არ ჰქონდა.

„სოფელი დიდ უარზედ არის,– წერდა ე. ყიფიანი,– სამასი მანეთიც გვიძნელდებაო და ოთხასს ხომ არ იძლევიან და არა. ახლა საქმე ასე არის შეჩერებული. მართალია, ოფიციალურად არ მოსვლია სოფელს უარი, მაგრამ საქმე მიჩუმებულია და არაფერს ბაიბურში კი არ არიან''.

რადგან წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლის გახსნისათვის წლიურად მხოლოდ 350 მანეთი იყო საჭირო, ამიტომ ე. ყიფიანი მიიჩნევდა: „უკეთესი იქნება, რომ აქაური სკოლა წერა-კითხვის საზოგადოების ხელით გაიხსნას და იმის მფარველობაში იყოს''. ამიტომ იგი აპირებდა შეედგინა ახალი განაჩენი წ.კ.გ.ს-ის სახელზე და გამოთქვამდა იმედს, რომ სოფლის მოსახლეობა მასზე ხელს მოაწერდა. წერილში იგი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი აზნაურობა თანახმა იყო გაეღო 50 მანეთი. „აქაური აზნაურობა იძახის,– ნათქვამია წერილში,– რაც დასჭირდება სკოლას 300 მანეთზე მეტი, ჩვენ ვიკისრებთო''.

1884 წლის 2 ნოემბერს, გამგეობამ განიხილა ელ. ყიფიანის წერილი ქვიშხეთში საზოგადოების სკოლის გახსნის შესახებ და საჭიროდ ჩათვალა, დალოდებოდა სასწავლო ოლქის მზრუნველის ოფიციალურ პასუხს, რომლის გათვალისწინებითაც იგი, მისცემდა საკითხს მსვლელობას ქვიშხეთში სკოლის გახსნის შესახებ.

მიუხედავად, ყიფიანების მცდელობისა, ამ ეტაპზე ქვიშხეთში სკოლის გახსნა ვერ მოხერხდა. აქ მხოლოდ 1896 წელს გახდა შესაძლებელი სკოლის დაარსება.

საზოგადოების გამგეობამ დიდი დახმარება გაუწია სოფელ ვაყის მცხოვრებლებს სკოლის გახსნის საქმეში. მან 1884 წლის 25 მაისს განიხილა სოფ. ვაყის სასოფლო საზოგადოების განაჩენი სკოლის გახსნის თაობაზე. განაჩენით, როგორც ჩანს, ვაყის საზოგადოება, სკოლის გახსნის შემთხვევაში აპირებდა მის გადაცემას საზოგადოებისათვის.

გამგეობამ გადაწყვიტა, თხოვნით მიემართა თბილისის გუბერნატორისათვის, რათა დაემტკიცებინა სოფ. ვაყის საზოგადოების განაჩენი სკოლის გახსნის შესახებ. ასეთივე თხოვნით მიმართა საზოგადოებამ თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს.

როგორც ირკვევა, ვაყაში სკოლის გახსნის საკითხი საკმაოდ გახმაურებულა, რაც იქიდანაც ჩანს, რომ ხონის სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლეს ე. გულისაშვილს თხოვნითაც კი მიუმართავს საზოგადოების გამგეობისათვის სოფ. ვაყის მომავალ სკოლაში მასწავლებლად დანიშვნის შესახებ. გამგეობის დადგენილებაში ნათქვამია, რომ სოფელ ვაყაში მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, 1885 წელს, გაიხსნება სკოლა და „...მაშინ სახეში (მხედველობაში – თ.ლ) ეყოლება მმართველობას იგი' (ე.ი. ე. გულისაშვილი – თ.ლ.).

1884 წლის 27 სექტემბერს ქშწკგს გამგეობამ სხდომაზე განიხილა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სააგენტოების დაარსების საკითხი. ასეთი სააგენტოები, მართლაც, შეიქმნა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ადგილებზე საზოგადოების საქმიანობაში, აგრეთვე მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

სხდომის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ხაშურსა და სურამში აგენტად დაინიშნა ქაიხოსრო ხერხეულიძე, ხოლო გორის მაზრაში ბრილელი მემამულე ნიკო დიასამიძე.

სხვა დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 1884 წელს საზოგადოების გამგეობამ სურამში ეკატერინე მუატს სთხოვა აგენტობა, მაგრამ მან უარი განაცხადა და მხოლოდ ამის შემდეგ დაინიშნა ქ. ხერხეულიძე საზოგადოების აგენტად სურამში.

1884 წლის 16 სექტემბერს გამგეობა ე. თაყაიშვილის წინადადებით ზემო ჭალაში თავის აგენტად ნიშნავს მღვდელ მათე სუხიევს, რომლის დიდი ძალისხმევით, თავის დროზე, 1881 წელს, აქ დაარსდა ორკლასიანი სასწავლებელი. მის მიერ გადარჩენილი არაერთი საინტერესო ხელნაწერი და ნივთი გადაეცა წ.კ.შ.ს.გ-ს.

სურამში ქაიხოსრო ხერხეულიძე 1890 წლამდე მუშაობდა აგენტად. იგი 1890 წლის 14 იანვარს თხოვს გამგეობას, გაათავისუფლოს აგენტობიდან ქ. ალექსანდროპოლში სამუშაოდ გადასვლასთან დაკავშირებით და წინადადებას იძლევა სურამის სკოლის მასწავლებლის ალ. ციმაკურიძის მის ადგილზე დანიშვნის შესახებ.

გამგეობის გადაწყვეტილებით, ქშწკგს-ს აგენტად სურამში დაინიშნა აქვე ექიმად მომუშავე დიმიტრი შალიგინის მეუღლე. დადგენილებაში ნათქვამია, რომ ალ. ციმაკურიძისაგან მან უნდა გადაიბაროს ყოველგვარი კორესპონდენცია და გამგეობისგან გაგზავნილი წიგნები. ეს ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ საზოგადოების გამგეობა ამ დროს ხაშურის რაიონის მოსახლეობაში აგენტების საშუალებით უკვე ავრცელებდა თავის გამოცემებს, რაც ერთ-ერთი გზა იყო მათში კულტურისა და განათლების გავრცელებისათვის.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

1818 წლის კამერალური აღწერა და ხაშურის მუნიციპალიტეტი

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დამთვალიერებლებზე ორიენტირებული პროგრამების მენეჯერი დალი ხაჩიძე წლებია მუშაობს კამერალურ აღწერებზე, რომელიც, მე-19 საუკუნის დასაწყისში, საქართველოში განხორციელდა. ამ ორიოდე წლის უკან, ჩვენი მკითხველი უკვე გაეცნო ქალბატონი დალის ნაშრომს 1804 წლის კამერალური აღწერების შესახებ. დღეს მკითხველს 1818 წლის კამერალურ აღწერებს ვთავაზობთ, რომელიც, რა თქმა უნდა, ჩვენს მუნიციპალიტეტს ეხება და არა მარტო სპეციალისტებისათვის, არამედ ფართო მკითხველისათვისაც ძალზედ საინტერესოა.

ეს მასალები გარკვეულ წარმოდგენას იძლევა 1818 წლისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის, ასევე შრომითი საქმიანობის შესახებ. კერძოდ, მოცემულია სოფლების დასახელება, კომლის (ოჯახის) უფროსის გვარი და სახელი, რომელ თავადს ეკუთვნის, აღწერილია ოჯახის წევრები და მათთან ერთად ფაქტობრივად მცხოვრები ადამიანები. მითითებულია ოჯახის წევრთა ეროვნება. აღსანიშნავია, რომ მამრობითი სქესის ოჯახის წევრები მოხსენიებულია სახელებით, მდედრობითი სქესი მხოლოდ ზოგადად, მაგ. ქალიშვილები, დედა, ცოლი. ეს იმის გამო, რომ ამ აღწერის მიზანი ძრითადად სამხედრო სამსახურში გასაწვევი კონტიგენტის, მოსახლეობის მთლიანი შემოსავლების დადგენა იყო. მითითებულია კომლს აქვს თუ არა სახლი, სოფლის მეურნეობის რა დარგებია უპირატესი, რამდენი აქვს მიწა, რამდენი სული საქონელი ჰყავს, რა ხელობას მისდევენ, რამდენ კოდ პურს იღებენ, ძირითადად რა საქმიანობით იღებენ სარჩოს, ადგენენ რამდენს იხდიდნენ ადრე გამოსაღებს და რამდენს ახლა. აღწერის ბოლოში გაკეთებულია შენიშვნა სოფლის მდებარეობის, წყლის რესურსის, ვარგისი და მწირი მიწების, წისქვილების რაოდენობის შესახებ, განსაზღვრულია მოსახლეობის ძირითადი შემოსავლის წყარო დ.ა.შ.

სოფელ დუმაცხოვში აღრიცხულია თავად მიხეილ ხერხეულიძის გლეხები, (ამ გლეხებზე თავად მიხეილ ხერხეულიძეს დავა აქვს თავად თეიმურაზ ხერხეულიძესთან).

1.გოგია პაპუაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი სიმონი, ქალიშვილი, სიმონის ცოლი, სიმონის ვაჟები: სიმონი და პეტრე, მათთან ერთ ოჯახად ცხოვრობს გოგიას ძმა, ნინია, მისი ცოლი, ვაჟები: პაატა და და გიორგი, ქალიშვილი. ოჯახი თერთმეტსულიანია, ასეთი ოჯახები ამ აღწერით ბევრი არ არის. ოჯახის ყველა წევრი ქართველია.

ამ ოჯახს აქვს სახლი, ნასყიდი მიწა ხუთდღიური, საბატონო სამფლობელოდ ქაღალდით(ვექსელით) მიცემული, სათესი ათდღიური. იღებს 140 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი -10 სული, ცხენი, 3 სკა ფუტკარი, სარჩოს იღებენ ხვნა- თესვითა და სხვა სამუშაოებიდან.

ამ დროს საზომ საწონი ერთეულების სისტემით, 1 კოდი პური 50 კილოგრამია, ე.ი. ამ ოჯახის მიერ მოწეული პური დაახლოებით დღევანდელი 7 ტონაა.

2.შოშია პაპუაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: გიგოლა, სოლომონი, გიორგი და გრიგოლი,

ქალიშვილი. ოჯახი შვიდსულიანია.

ამ ოჯახს აქვს სახლი, საბატონო ათდღიური სახნავი მიწა, ხნავს 5დღიურს, იღებს 60 კოდ პურს, 9 სული რქოსანი პირუტყვი. საარსებო საშუალება - ხვნა -თესვა და სხვა სამუშაოები.

3. ნინია პაპუაშვილი - მისი ცოლი, ვაჟი ქიტესა, ქალიშვილები, ქიტესას ცოლი, ვაჟი კიკოლა, ქალიშვილები. ოჯახის ყველა წევრი ქართველია.

ამ ცხრასულიან ოჯახს აქვს სახლი, საბატონო მიწა სამფლობელოდ მიცემული საბუთით ათდღიური სახნავი, ხნავს 5დღიურს, იღებს 60 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 6 სული, 1 ცხენი. ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებენ სარჩოს.

4. ოთარ მაისურაძე, მისი ცოლი, ვაჟი ქიტესა, 2 ქალიშვილი, ქიტესას ცოლი, ვაჟი კიკოლა, ქალიშვილი.

ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, საბუთით სამფლობელოდ მიცემული ათდღიური სახნავი, ხნავს ხუთდღიურს, იღებს 60 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 6 სული, 1 ცხენი. ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

5.თავად ჯამასპი ხერხეულიძის გლეხი - პაპუნა დვალაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: ნინია და სოსია, მათი ცოლები, ნინიას ვაჟები: გიორგი და პეტრე, სოსიას ვაჟი ანდრო, მათთან ოჯახში ცხოვრობს ნათესავი - პავლე. ოჯახის ყველა წევრი ქართველია.

ამ ათსულიან ოჯახს აქვს სახლი, სამფლობელოდ მიცემული ათდღიური საბატონო მიწა, ხნავს ექვსდღიურს, იღებს 80 კოდ პურს, ჰყავს რქოსანი პირუტყვი 6 სული, 1 ცხენი. საზრდოობენ ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით.(ეს ოჯახი იღებს პურის მაღალ მოსავალს სხვებთან შედარებით, ექვსდღიური მიწიდან 80 კოდს)

6.თავად ლუარსაბ ხერხეულიძის გლეხი - გიორგი ხიდაშელი, მისი ცოლი, ვაჟი ბერა, მასთან ერთად მის ოჯახში მისი ძმა ტეტია, ტეტიას ცოლი და 2 ქალიშვილი, ვაჟები:

სოსია სიმონი და დავითი.

ამ ცხრასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს საბატონე მიწას, ხუთდღიურს, იღებს 60 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 9 სული, ერთი ცხენი, თავს ირჩენენ ხვნა - თესვითა და სხვა სამუშაოებიდან მიღებული შემოსავლით.

7. თედორე ლობჟანიძე, მისი ცოლი, ვაჟები: სიმონი და გიორგი, ქალიშვილი, ბიძაშვილი- სოსია.

ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, რვადღიური საბატონო მიწა, ხნავს ხუთდრიურს, იღებს 60 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 5 სული, საზრდოობენ ხვნა_ თესვითა და სხვა სამუშაოებიდან მიღებული შემოსავლით.

8. თავად ზაქარია ხერხეულიძის გლეხი - ბერუა კაპანაძე, მისი ცოლი და ქალიშვილი. ამ სამსულიანი ოჯახის ქონებისა და საქმიანობის შესახებ მონაცემები არ არის.

თავად თეიმურაზ ხერხეულიძის გლეხები, გადმოსახლებულები კორხიოდან-? (ხომ არარის რაჭის სოფელი?. რადგან კობერიძე მოსდევს ამ სიას, ამ გადმოსახლებულების შესახებ? დ.ხ.))

9. დათუნა ციცქარაშვილი, მას ჰყავს ცოლი. მოჯამაგირეობს ბატონთან.

10. გიორგი კობერიძე, მისი ცოლი, ვაჟი ზურაბი, ქალიშვილი, გიორგის ძმა -ნინია,მისი ცოლი,ვაჟი ზურაბი, ქალიშვილი.

ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, საბატონო მიწა ოთხდღიური, ხნავს ორდღიურს, იღებს 25 კოდ პურს, დაქირავებული დღიური სამუშაოებიდან და ხვნა-თესვიდან იღებს სარჩოს.

11.დავით გამრეკელაშვილი, მისი ცოლი. ამ ორსულიანი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მითითებულია, რომ გამრეკელაშვილი ბატონის მოსამსახურეა.

12.თავად ქაიხოსრო აბაშიძის გლეხი - გაბრიელ გომარელი, მისი ცოლი, მისი ძმა გოგია.

ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სხვის რვადღიურ მიწას, იღებს 100 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 9 სული, ხვნა- თესვითა და სხვა სამუშაოებიდან იღებენ სარჩოს.

13. თავად თეიმურაზ ფარსადანის ძე მაჩაბელოვის გლეხი, ერგნეთიდან გადმოსახლებული არაუმეტეს ერთი წლის წინ - ივანე გიგაური, მას ჰყავს ცოლი, ვაჟები: გოგია, ბერი, და გიგაური?, ქალიშვილები.

ეს შვიდსულიანი ოჯახი ცხოვრობს სხვის სახლში, ხნავენ ორდღიურ მიწას, იღებენ 20 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 3 სული.

14. თავად თეიმურაზ მაჩაბელოვის გლეხი, გადმოსახლებული ხეითიდან 3 წლის წინ - ოთარ ზუბაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი დათუა.

ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, მიწა სოფელ ხეითში, სამდღიური სახნავი,1 ცხენი, დღიური მუშაობის ქირით აქვს სარჩო.

15. თავად ჯამასპი ხერხეულიძის გლეხი - კიკოლა მერაბაშვილი, მისი ვაჟი ბერი, ქალიშვილი.

ეს სამსულიანი ოჯახი ცხოვრობს სხვის სახლში, საზრდოობს დღიური ქირით მუშაობით მიღებული შემოსავლით.

აღწერის მასალას ბოლოში შემდეგი სახის შენიშვნა აქვს გაკეთებული: სოფელი დასახლებულია წყაროსთან, ამას გარდა სარგებლობს მდინარე ჭერათხეულას წყლით. მიწები ეკუთვნის თავად ხერხეულიძეებს, დაახლოებით 200 დღიური, ვარგისია ასდღიური, ტყე 65! (ასეთი ნიშანი აქვს - დ.ხ.)),ეს ყველაფერი გამოყოფილია განსაკუთრებული ნიშნებით. მცხოვრებთა ძირითადი საქმიანობა მიწის სამუშაოებია, ამას გარდა, აქვთ ერთი დღის სამუშაო თავად ლუარსაბ დიასამიძესთან და ერთი წისქვილის ადგილი.

წინა აღწერით, ამ სოფელში არავინ არ იყო ნაჩვენები, გლეხებიდან ზოგიერთი იხდიდა სურსათს ხერხეულიძეების გლეხების რიცხვში, ზოგი დაბეგრილი საერთოდ არ იყო. ახლა კი აღწერით ნაჩვენებია 15 კომლი საბატონე გლეხი, რომელთაგან გადასახადის გადახდა შეუძლია თავად მიხეილ ხერხეულიძის 4 კომლს - ხორბალი 12 კოდი, ქერი 8 კოდი, თავად ლუარსაბ ხერხეულიძის 2 კომლს- ხორბალი 6 კოდი, ქერი 4 კოდი, თავად ჯამასპი ხერხეულიძის 1 კომლს ხორბალი 3 კოდი, ქერი 2 კოდი, თავად ზაქარია ხერხეულიძის 1 კომლს-ხორბალი 3კოდი, ქერი 2 კოდი, თავად თეიმურაზ ხერხეულიძის 1 კომლს ამდენივე, თავად ქაიხოსრო აბაშიძის 1 კომლს ასევე, თავად თეიმურაზ ფარსადანის ძე მაჩაბელოვის 1 გლეხსაც ასევე.

სოფელ ბრილში - თავად მურად დიასამიძის გლეხები -1. გიორგი ბერიტაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: როინი, ყარამანი, დავითი, ქალიშვილები.

ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ორდღიურ მიწას,იღებს 30 კოდ პურს, ჰყავს რქოსანი პირუტყვი 4 სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებიდან იღებს საზრდოს.

2.გოგია იმერლიშვილი, მისი ცოლი, ვაჟი-პეტრე, ქალიშვილი ,ოჯახში მასთან ცხოვრობს გოგიას დაოჯახებული ვაჟი ივანე, მისი ცოლი, ვაჟი- სიმონი, ქალიშვილები.

ამ ცხრასულიან ოჯახს აქვს სახლი,ხნავს ექვსდღიურ მიწას, იღებს 40 კოდ პურს, ჰყავს რქოსანი პირუტყვი 5 სული, 1 ცხენი, 3 სკა ფუტკარი. ხვნა_თესვითა და სხვა სამუშაოებით ირჩენენ თავს.

3.მოსე ქართველიშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: გიორგი და გაბრიელი, ქალიშვილები. ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ოთხდღიურ მიწას, იღებს 50 კოდ პურს,ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 4 სული. ხვნა - თესვითა და სხვა სამუშაოებით ირჩენენ თავს.

4.თიო(შიო?) ქართველიშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: ადამი და ესავი, ქალიშვილები.

ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სამდღიურ მიწას, იღებს 40 კოდ პურს, ჰყავს რქოსანი პირუტყვი 2 სული. ხვნა - თესვითა და სხვა სამუშაოებით ირჩენენ თავს.

5. ეგნატე ქართველიშვილი, მისი ცოლი, ვაჟი პეტრე, ქალიშვილები, ეგნატეს ძმა ივანე.

ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ორდღიურ მიწას, იღებს 25 კოდ პურს, ჰყავს რქოსანი პირუტყვი 5 სული. ხვნა-თესვითა დასხვა სამუშაოებით ირჩენენ თავს.

6. გიორგი ჩუბინიძე, მისი ცოლი, ვაჟები: კიკოლა, ესავი და კვირია, კვირიას ცოლი და ქალიშვილი, ვაჟი სიმონი.

ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ოთხდღიურ მიწას, იღებს 50 კოდ პურს, ჰყავს რქოსანი პირუტყვი 3 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით ირჩენენ თავს.

შენიშვნა: 1. სოფელი გაშენებულია მდინარე ბურნეულას წყაროსთან. მიწები ამ სოფელში ეკუთვნის თავად დიასამიძეებს, ვარგისია 100 დღიური, მწირი 40 დღიური, აქვთ ტყე, ეს ყველაფერი გამოყოფილია განსაკუთრებული ზომებთ. მცხოვრებთა მთავარი საქმიანობაა ხვნა-თესვა და სხვა სამუშაოები.

2.ზოგიერთი ამ გლეხებიდან იხდიდა (სურსათს) გადასახადს თავად დიასამიძეების გლეხთა რიცხვში, ხოლო ზოგიერთი დაბეგრილი საერთოდ არ იყო. ახლა კი 6 კომლიდან იხდიან- ხორბალს-18 კოდს, ქერს 12 კოდს.

(საერთოდ ამ მხარეში ბატონს კომლზე უხდიან 3 კოდ ხორბალს, 2 კოდ ქერს. მოწეული ხორბლის რაოდენობა 30,40, 50 კოდია?)

სოფელ ტკოცაში - თავად ნიკოლოზ ციციანოვის გლეხი 1. სტეფანე კანთელაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: პეტრე, თევდორე, გიორგი, ივანე და სოსია.

ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ექვსდღიურ მიწას, იღებს 60 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 6 სული, ხვნა - თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს საზრდოს.

თავად ევსტათი აბაშიძის გლეხი 2.დავით გომარელი, მისი ცოლი, ვაჟები: გრიგოლი, გაბრიელი, პავლე, ივანე და გიორგი. მათთან ერთად ოჯახში ცხოვრობს დავითის ძმა სოსია, მისი ცოლი, სოსიას დედა.

ამ ათსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ხუთდღიურ მიწას, იღებს 60 კოდ პურს, ჰყავთ 6 სული რქოსანი პირუტყვი. ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით ირჩენენ თავს.

შენიშვნა - 1.ეს სოფელი გაშენებულია წყაროსთან. მიწები ეკუთვნით თავად დიასამიძეებს, ვარგისი 150 დღიური, მწირი -50 დღიური. მიწები ამ სოფელში ასევე ეკუთვნით თავად ხერხეულიძეებს. ვარგისი 40 დღიური, მწირი 40დღიური, ტყით სარგებლობენ მეზობელი აგარაკებიდან. მცხოვრებთა ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება.

2. ადრე ეს გლეხები არავითარ გამოსაღებს არ იხდიდნენ. ახლა კი გადახდა შეუძლიათ თავად ნიკოლოზ ციციანოვის ერთ კომლს- 3კოდი ხორბალი, 2 კოდი ქერი. თავად ევსტათი აბაშიძის ერთ კომლს, ხორბალი 3 კოდი, ქერი 2 კოდი.

დალი ხაჩიძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ხაშურში, მთავარი ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე, დასაქმების ფორუმი გაიმართა

კომპანია „ინნ ჯგუფმა“, სასტუმროების ქსელში სხვადასხვა პოზიციების დასაკავებლად, დასაქმების მსურველებთან გასაუბრება ჩაატარა.

„ჩვენ, როგორც მადალი პასუხისმგებლობის მატარებელი კომპანია, დაინტერესებულები ვართ ჩვენს სასტუმროებში დავასაქმოთ საქართველოს მოქალაქეები, ვაკანტური პოზიციები კიდევ გვაქვს და ყველა დაინტერესებულს მოვუსმენთ“- განაცხადა კომპანია „ინ ჯგუფის“ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნატა ჯავახიშვილმა.

დასაქმების ფორუმი ხაშურის მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით მოეწყო.

„მომავლის სახლის“ ბენეფიციარები - ჯომარდობაზე

შშმ ბავშვთა დღის ცენტრის - „მომავლის სახლის“ საქმიანობის შესახებ არაერთხელ გვიამბია ჩვენი მკითხველისათვის. აღნიშნული ცენტრის დამფუძნებელი და დირექტორი ია გასიშვილი ის ქალბატონია, რომელიც თავის მთელ ენერგიას, ადამიანურ რესურსს

თუ ულევ სათნოებას ამ ბავშვებს ახმარს. ამ ბავშვებისა და ქალბატონი იას ერთად ყოფნის წამიერი ხილვაც კი საკმარისია, რომ დარწმუნდე რამხელა სიყვარულია მათ შორის. ეს სიყვარული კი ამ საოცარი ბავშვების ჯანმრთელობის რეაბილიტაციის უპირველესი წყაროა.

„მომავლის სახლი“ ხშირად უწყობს დღესასწაულებს თავის ბენეფიციარებს. ბავშვებს მუდმივად უდგას მხარში მუნიციპალიტეტის მერია და ერთობლივი ძალისხმევით არაერთი გამორჩეული დღე მიიღეს საჩუქრად. ასე იყო 5 ივლისიც, როდესაც მერიის დაფინანსებით, ბავშვები მდინარე მტკვარზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტს ესტუმრნენ და ულამაზეს ხეობაში იჯომარდეს. თუმცა, მანამდე სხვა ღონისძიებებშიც მიიღეს მონაწილეობა. ჯერ მშვილდოსნობით დაიწყეს და ამით ისიამოვნეს, შემდეგ კი საჯომარდო ნავებით მტკვარზე დაეშვნენ და ათი მუნიციპალიტეტის მსგავსი დაწესებულების ბენეფიციარებს შორის მესამე ადგილი დაიკავეს. რა თქმა უნდა, აქ შეჯიბრიც, ერთგვარად, პირობითი იყო, რადგან ამ ბავშვების ერთად ყოფნაა უკვე გამარჯვება და საპრიზო ადგილის მიღმა დარჩენილ არცერთ გუნდს არ გასჩენია გულდაწყვეტა დამარცხების გამო. იყო მხიარულება, სიმღერა და ძველი მეგობრების საოცარი შეხვედრები.

ია გასიშვილი: მსგავსი ღონისძიებები ჩვენი ბავშვებისათვის, რელაქსაციათან ერთად, უზომო სიხარულია და საერთო განწყობის ამაღლების საუკეთესო საშუალებაც. ასეთ დღეებში ყველა პრობლემა უკან რჩება და ეს განწყობა დიდხანს მიჰყვება ბავშვებს საგზლად. მადლობა მერიას მხარდაჭერისათვის და იმედია, მათთან, კიდევ უამრავ ლამაზ დღეს ვაჩუქებთ ბავშვებს...

ჩვენ კი ერთსღა დავამატებთ: სასიამოვნოა, რომ სახელმწიფო ასე ზრუნავს ამ ბავშვებზე და ყველაფერი კეთდება, რომ მათ თავი საზოგადოებაში სრულად ადაპტირებულად იგრძნონ. ეს ერთი დღეც ამის სრული დასტური იყო.

ხაშურელ ძალოსანთა წარმატება

დასრულდა 15 წლამდე ძალოსანთა თბილისის ღია პირველობა, რომელიც 3 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

შეჯიბრში ხაშურის სასპორტო სკოლის მომსწავლეებიც მონაწილეობდნენ.

წარმატებით დაასრულეს ასპრეზობა ჩვენმა ძალოსნმა ბიჭებმა.

55 კგ. წონით კატეგორიაში I ადგილი დაიკავა გოგა ხარაზიშვილმა – 140 კგ.

89 კგ, წონით კატეგორიაში I ადგილი დაიკავა ბექა კაპანაძემ –206 კგ.

96კგ. წონით კატეგორიაში III ადგილი დაიკავა ტარიელ მაზმიაშვილმა - 102 კგ.

+96 კგ. წონით კატეგორიაში II ადგილი დაიკავა ტრისტან მაზმიაშვილმა -- 165 კგ.

გილოცავთ, ბიჭებო, და წარმატებებს გისურვებთ მომავალ ასპარეზობებზე.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.